ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №566392

ნომერი: AR1108540

თარიღი : 11.02.2013

გაცემის თარიღი : 04.03.2013

გაცნობის თარიღი : 11.03.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თ. ერისთავი , N 3 , (ნაკვ. 37/022) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ნიშნიანიძე პ/ნ 41001003782
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ V მ/რ კორ. 10 ბ. 3

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

21.11.2006 წ. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №გ-1/103 ქალაქთმშენებლობით პირობებში დამატების შეტანის თაობაზე

2013 წლის 11 თებერვალს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს AR1108540 განცხადებით მომართა იბა „ამირანი 2007“-ის თავმჯდომარე დავით ნიშნიანიძემ და მოითხოვა საპროექტო ტერიტორიის მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირების გამო 21.11.2006 წლის №გ-1/103 ქალაქთმშენებლობით პირობებში საკადასტრო გეგმის დამატება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 21.11.2006 წელს ქალაქ

თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ დადგინდა ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, თორნიკე ერისთავის ქ. №3-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად №გ-1/103 ქალაქთმშენებლობითი პირობები.

განმცხადებლის განმარტებით განხორციელდა მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება კოორდინატთა სისტემაში ფართობის და საკადასტრო მონაცემების უცვლელად. შესაბამისად ითხოვს ქალაქთმშენებლობით პირობებში ახალი საკადასტრო გეგმის დამატებას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად, იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 21.11.2006 წლის №გ-1/103 ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენის დროს მოქმედი "მშენებლობის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების თანახმად, ნებართვის მაძიებელი ვალდებულია უზრუნველყოს საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობა ქალაქმშენებლობით პირობებასა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ტექნიკურ პირობებთან. საპროექტო ობიექტის ფართობის ცვლილება შესაძლებელია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირებითა და ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემით, რაც თავის მხრივ საჭიროებს საპროექტო მიწის ნაკვეთზე დადგენილი ქალაქთმშენებლობით გეგმაში ცვლილებების შეტანას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან აღნიშნული ცვლილების შედეგად არ შეცვლილა ქალაქთმშენებლობითი პირობები, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 21.11.2006 წლის №გ-1/103 ქალაქმშენებლობით პირობებს დაამატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის №882013062078, მომზადების თარიღი 19.02.13 წ. საკადასტრო კოდი №01.12.08.037.022).

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების, "ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის დამტკიცების შესხებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 01 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებისა და "ქალაქ თბილისის მერიის საჯარო იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე" ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის №194 განკარგულების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 21.11.2006 წლის №გ-1/103 ქალაქმშენებლობით პირობებს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის №882013062078, მომზადების თარიღი 19.02.13 წ. საკადასტრო კოდი №01.12.08.037.022);
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 21.11.2006 წლის №გ-1/103 ქალაქმშენებლობით პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.